საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის მინისტრის
ბრძანება N 8/ნ
2009 წელი 14 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანდართული დებულება (დანართი N1).

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. ტყეშელაშვილი

დანართი N1

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში _ დეპარტამენტი) არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში _ სამინისტროს) გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საერთაშორისო ხელშეკრულებების, ამ დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების საფუძველზე.

3. დეპარტამენტის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი; დეპარტამენტის ქონებას შეადგენს მის სარგებლობაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები და საფინანსო რესურსები.

4. დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონება საქართველოს კანონმდებლობით ქონების გადაცემისათვის დადგენილი წესით.

5. დეპარტამენტს აქვს საკუთარი ბეჭედი, ლოგო და დასრულებული ბალანსი.

6. დეპარტამენტის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო და ამოცანები

1. დეპარტამენტი, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს: *(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

ა) საავტომობილო გზების ფუნქციონერების ორგანიზება, მართვა, ზედამხედველობა და კონტროლი;

ბ) საავტომობილო გზების სფეროში იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რომლის მონაწილეც არის საქართველო;

გ) საავტომობილო გზების განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა და მათი რეალიზაცია;

დ) საავტომობილო გზების განვითარების გრძელვადიანი პროგრამების, პერსპექტიული და პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავებაში მონაწილეობა და მათი რეალიზაცია;

ე) საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტუქცია-მოდერნიზაციისა და მშენებლობისათვის შესაბამისი სახსრების, მათ შორის ინვესტიციების, მოზიდვა და მიზნობრივი ხარჯვის ორგანიზაცია, აგრეთვე ამ საკითხებთან მიმართებაში სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციის შესრულება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სატენდერო პირობების მომზადება და რეალიზაცია;

ვ) საქართველოს კონონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში საავტომობილო გზების დარგში დასაქმებულ პირთა საქმიანობის მართლზომიერების უზრუნველყოფა;

ზ) საავტომობილო გზების დარგში შესაბამისი სტანდარტების, ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების, ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმების, ინსტრუქციების, ზოგადი პრინციპებისა და სხვადასხვა მახასიათებლების დამუშავება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მათი მიღება-რეალიზაციის ხელშეწყობა, აგრეთვე დარგში სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სისტემების ნორმატიული დოკუმენტაციის შემუშავება;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა პროგრამების, ეროვნული სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების შემუშავებაში მონაწილეობა; დეპარტამენტის ყოველწლიური ობიექტებისა და სამუშაოების გეგმების დამტკიცება;

პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, მოდერნიზაციისა და მშენებლობის კატეგორიის სამუშაოებზე საპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცება;

ი) საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების მოსალოდნელი შედეგების ანალიზი, შეფასება და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება, მათი სალიკვიდაციო სამუშაოების კოორდინაცია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად კონკრეტული და დაუყოვნებლივი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

კ) საავტომობილო გზების დარგის შემდგომი ეკონომიკური რეფორმის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და განხორციელება; მისი ხელშემწყობი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი კანონპროექტებისა და ნორმატიული აქტების მომზადება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში დასკვნებისა და შენიშვნების მომზადება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტებთან დაკავშირებით, აგრეთვე დარგში სახელმწიფო პროგრამების რეალიზაცია;

მ) გადაცემული სახელმწიფო ქონების ფლობა და სარგებლობა;

ნ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდებარე განსხვისების ზოლში ინფრასტრუქტურის განვითარების რეგულირება და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისა და განვითარების საქმიანობათა დადგენილი წესით შეთანხმება;

ო) საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სფეროში საექსპერტიზო საქმიანობის (გარდა სახელმწიფო ექსპერტიზისა) ორგანიზაცია;

პ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე, ”საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონით, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელება;

ჟ) საავტომობილო გზების დარგში სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტების, გრანტების, პროგრამებისა და სხვა დაფინანსებით მიღებული სახსრების მართვა, მათი ხარჯვის და რეალიზაციის მონიტორინგი; საინვესტიციო პროექტებით დაფინანსებული საგზაო სამუშაოების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება და მათი რეალიზაციის მონიტორინგი;

რ) წევრობაზე დაფუძნებული საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანება და მათ საქმიანობაში მონაწილეობა;

ს) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე განხორციელებულ მიმდინარე შეკეთების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის, მონიტორინგი და კონტროლი;

ტ) საგზაო სამუშაოების მიმდინარეობის შერჩევითი შემოწმება, სატენდერო-საპროექტო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულების პირობებით გათვალისწიენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

უ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მესამე პირების მიერ დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ფ) ზღვის, მდინარეთა და წყალსატევების სანაპირო ზონებში მორფოდინამიკური პროცესების მონიტორინგი და ავარიული უბნების გამოვლენა;

ქ) სანაპირო ზონებში რისკ-ფაქტორიანი უბნების გამოვლენა, სანაპირო ზონის განვითარების პროგნოზირება და სათანადო საინჟინრო გადაწყვეტილებების შემუშავება;

ღ) ზღვის, მდინარეთა და წყალსატევების სანაპირო ზონებში შეზღუდული სარგებლობის ტერიტორიების განსაზღვრა, მკაცრი ზედამხედველობისა და მუდმივი ზედამხედვეობის ზოლების დადგენა;

ყ) სანაპირო ზონებში ბუნებრივი კომპონენტებისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნა;

შ) სანაპირო ზონებში ჭარბი აკუმულაციისა და ეროზიული უბნების გამოვლენა და საჭიროები შემთხვევაში ჭარბი ნატანის გამოყენებით პლაჟების სტაბილიზაციისა და რეანიმაციის სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება;

ჩ) საინჟინრო ღონისძიებების მეშვეობით ნაპირფორმირების პროცესების ხელსაყრელი მიმართულებით წარმართვა;

ც) საქართველოს ზღვისა და მდინარეების ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის გენერალური სქემების შედგენა;

ძ) ზღვისა და მდინარეების ნაპირების ფორმირების პროცესების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის ნორმების, წესების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის პროექტების შემუშავება;

წ) სანაპირო ზონებში რისკ-ფაქტორიანი უბნების პროექტირების ორგანიზება, სამუშაოების მიმდინარეობის მენეჯმენტი;

ჭ) სანაპირო ზონის ფარგლებში ნაპირდამცავი და სხვა სამშენებლო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

ხ) ნაპირების საინჟინრო დაცვა-აღდგენასთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების ორგანიზება;

ჯ) ზღვის, მდინარეთა და წყალსატევების სანაპირო ზონების საინჟინრო დაცვის სფეროში თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე;

2. დეპარტამენტი, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, სახელმწიფო სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან/და მოპასუხედ.

3. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებას, პერიოდულ შეკეთებას, რეკონსტუქცია-მოდერნიზაციას, რეაბილიტაციას და მშენებლობას დეპარტამენტი ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების, მიღებული გრანტების, კრედიტების და სხვა დაფინანსების წყაროებიდან მიღებული სახსრების ხარჯზე.

4. დეპარტამენტი უფლებამოსილია ზემდგომი ორგანოს დავალებით

განახორციელოს ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციისა და მშენებლობის სამუშაოები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დეპარტამენტი უფლებამოსილია გასწიოს სახელმწიფო წარმომადგენლობა მისთვის ამ დებულებით მინიჭებული მოვალეობების შესასრულებლად.

6. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, ასევე ნაპირდაცვის, ნაპირაღდგენის და სხვა სახის სამუშაოების ფარგლებში დეპარტამენტი უფლებამოსილია: *(23.01.2014 N 2/ნ)*

ა) ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ქონების მესაკუთრეებთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ხელშეკრულებების პირობების შეთანხმების მიზნით აწარმოოს მოლაპარაკებები:

ა.ა) გააფორმოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნასყიდობის ხელშეკრულებები და სათანადო წესით დაარეგისტრიროს სახელმწიფო საკუთრებად;

ა.ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებელობის შესაბამისად გააფორმოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვისი საკუთრებით სარგებლობის ან/და სხვა სახის ხელშეკრულებები;

ბ) ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ქონების მესაკუთრეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, დეპარტამენტის ფინანსური რესურსების ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი ანაზღაურება (მათ შორის, შესაბამისი კომპენსაციების გაცემა).

მუხლი 3. დეპარტამენტის ანგარიშვალდებულება

1. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი უფლებამოსილია გააუქმოს დეპარტამენტის არამართლზომიერი აქტები და მოქმედებები.

3. დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს სამინისტროს ინფორმირება მის გამგებლობის სფეროში მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

4. დეპარტამენტი ვალდებულია მიაწოდოს სამინისტროს ინფორმაცია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვის შესახებ.

მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თამვჯდომარე, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. დეპარტამენტის თავმჯდომარე უძღვება დეპარტამენტის საქმიანობას, არის მისი წარმომადგენელი და პასუხისმგებელია დეპარტამენტის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, მის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და მის

გამოყენებაზე, აგრეთვე საბიუჯეტო და სხვა ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.

3. დეპარტამენტის თავმჯდომარე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

4. დეპარტამენტის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ამ დებულებით გათვალისწინებულ დეპარტამენტის უფლებამოსილებების განხორციელებას და სრულად წარმოადგენს დეპარტამენტს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5. დეპარტამენტის ინტერესებიდან გამომდინარე დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია განსაზღვრული ვადით სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე მოიწვიოს კონკრეტული სფეროს სპეციალისტები.

6. დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის თავმჯდომარე; *(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

7. მოადგილეთა შორის ფუნქციებს ანაწილებს დეპარტამენტის თავმჯდომარე. დეპარტამენტის თავმჯდომარის დროებით არყოფნის, ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს პირველი მოადგილე.

8. დეპარტამენტის თავმჯდომარე ადგენს დეპარტამენტის საშტატო ნუსხას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს მასში ცვლილებები დაწესებული რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების წლიური ფონდის ფარგლებში და ამტკიცებს სამინისტროსთან შეთანხმების შემდგომ.

9. დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტის თავმჯდომარე, კანონმდებლობით დადგენილი წესით; *(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

10. დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია მის დაქვემდებარებაში მყოფ მოხელეებს მიანიჭოს სათანადო საკლასო ჩინი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

11. დეპარტამენტის თავმჯდომარე ამტკიცებს დეპარტამენტის ლოგოს.

12. დეპარტამენტის თავმჯდომარე დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია შექმნას კომისიები და სხვა სათათბირო ორგანოები, განსაზღვროს მათი უფლებამოსილება.

13. დეპარტამენტის თავმჯდომარე ამტკიცებს დეპარტამენტის შინაგანაწესს.*(19.03.2014 N 6/ძ)*

14. დეპარტამენტის თავმჯდომარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დეპარტამენტის (მათ შორის, ტერიტორიული ორგანოს) თანამშრომლებს ანიჭებს შესაბამის უფლებამოსილებებს, ახორციელებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილებას; ასევე ახორციელებს დეპარტამენტის (მათ შორის, ტერიტორიული ორგანოს) თანამშრომლებისთვის შესაბამისი დავალებების გაცემას. *(19.03.2014 N 6/ძ)*

15. დეპარტამენტის საქმიანობიდან გამომდინარე, დეპარტამენტის თავმჯდომარე ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს. *(19.03.2014 N 6/ძ)*

მუხლი 5. დეპარტამენტის სტრუქტურა *(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) აპარატი (სამმართველო);

ბ) ფინანსების მართვის სამმართველო;

გ) სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო;

დ) იურიდიული სამმართველო;

ე) საერთაშორისო პროექტების სამმართველო;

ვ) საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველო;

ზ)საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველო;

თ) საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამმართველო;

ი) საავტომობილო გზების განვითარებისა და რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის სამმართველო;

კ) საავტომობილო გზების განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველო;

ლ) საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო;

მ) ნაპირდაცვის სამმართველო;

მუხლი 6. აპარატი (სამმართველო)*(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

აპარატის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) დეპარტამენტის ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზება;

ბ) დეპარტამენტის შინაგანაწესის შემუშავება და დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მონაწილეობით მის განხორციელებაზე კონტროლის გაწევა;

გ) დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება, მოსამსახურეთა შრომის წიგნაკებში შესაბამისი ჩანაწერების შეტანა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

დ) მოსამსახურეთა შრომითი ურთიერთობების შემცველ დოკუმენტაციის (დანიშვნა, გათავისუფლება, შვებულება, მივლინება და სხვა) მომზადება და წარმოება;

ე) შესაბამისი წარდგინების საფუძველზე, მოსამსახურეთათვის წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტების მომზადება;

ვ) თანამდებობის პირთა მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციის და სხვა მოსამსახურეთა

მიერ შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შესაბამის ორგანოებში ჩაბარების ორგანიზება და გაკონტროლება;

ზ) დეპარტამენტის თითოეული თანამდებობისათვის პროფესიულ – საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) დეპარტამენტის საშტატო ნუსხის პროექტის მომზადება;

ი) დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დეპარტამენტის თანამ-შრომელთათვის დადგენილი წესის შესაბამისად, კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების ორგანიზება, პრაქტიკისა და სტაჟირების გავლასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დეპარტამენტის თანამშრომელთა საკადრო დოკუმენტაციის მომზადება;

ლ) დეპარტამენტში საქმის წარმოების ორგანიზება და კონტროლი, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია. დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, შესრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვა და ორგანიზება;

მ) დეპარტამენტის საქმეთა (დოკუმენტაციის) ნომენკლატურის შემუშავება, საქმეთა შენახვის და ჩამოწერის ორგანიზება;

ნ) სტრუქტურული ერთეულების მიერ არქივისათვის ჩასაბარებელი საქმეების (დოკუმენტაციის) სისტემატიზირება, გაფორმების სისწორეზე კონტროლის განხორციელება და დეპარტამენტის არქივის საქმიანობის წარმართვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ო) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დეპარტამენტში საიდუმლო საქმისწარმოების ორგანიზება;

პ) დეპარტამენტის საქმისწარმოების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და მომსახურება;

ჟ) დეპარტამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და დავალებების რეგისტრაცია, მათი შესრულების ორგანიზების უზრუნველყოფა, გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციის მომზადება დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის;

რ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დეპარტამენტის ურთიერთობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა, საზოგადოების ინფორმირება დეპარტამენტის საქმიანობის განხორციელების თაობაზე;

ს) საეთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის უწყებებთან ურთიერთობის კოორდინაცია, სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებათა დაგეგმვა და მათი მომზადება;

ტ) დეპარტამენტის სატელეფონო კავშირგაბმულობის საშუალებების, რადიოკავშირების და რადიოსადგურების, კომპიუტერული და სატელეფონო ქსელის ექსპლუატაცია, მათი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ტექნიკური ნორმების დაცვით შეკეთება;

უ) დეპარტამენტის ელექტროკავშირგაბმულობის საშუალებების მუშაობის ანალიზი, კავშირგაბმულობის საშუალებათა კომპიუტერული სისტემის უსაფრთხო, უავარიო მუშაობისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება;

ფ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება.

მუხლი 7. ფინანსების მართვის სამმართველო *(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

ფინანსების მართვის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებისა და მოთხოვნების საფუძველზე დეპარტამენტის ბიუჯეტის პროექტის ფორმირება;

ბ) დეპარტამენტის ფინანსური უზრუნველყოფა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად მატერიალური რესურსების აღრიცხვა;

გ) დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად დეპარტამენტის ქონების განკარგვის ფინანსური ასპექტების შესწავლა და მისი ეფექტურად მართვის მიზნით სათანადო წინადადებებისა და დასკვნების მომზადება;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან დეპარტამენტისათვის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების და განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვაზე კონტროლის და მონიტორინგის განხორციელება;

ე) დეპარტამენტის საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზება და ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან წარმოშობილ ანგარიშსწორებათა დროული აღრიცხვა;

ვ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, რეაბილიტაციისა და მშენებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრების (კრედიტებისა და გრანტების) ხარჯზე განსახორციელებელი სამუშაოების წლიური საფინანსო გეგმების მომზადება;

ზ) დეპარტამენტის ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მიღება-დამუშავება და ნაერთი ანგარიშების წარდგენა შესაბამის ორგანოებში;

თ) საკრედიტო ხელშეკრულებების წარმოდგენილი პროექტების, მასალების, დოკუმენტაციის შესწავლა და აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი წინადადებებისა და დასკვნების შემუშავება;

ი) შესაბამისი მასალების მომზადება კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოთა მიმდინარეობისა და მათი ათვისების შესახებ სტატისტიკური, ფინანსური და სხვა საჭირო ანალიზებისა და ანგარიშების შედგენის უზრუნველსაყოფად;

კ) საერთაშორისო პროექტების განმახორციელებელ ერთეულებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება, შესაბამისი მასალებისა და წინადადებების მომზადება;

ლ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების უზრუნველყოფა კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე;

მ) დეპარტამენტის საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ნ) დეპარტამენტის ბალანსზე არსებული მატერიალური და არამატერიალური აქტივების დადგენილი წესით აღრიცხვის წარმოება და ჩამოსაწერი ქონების ხელმძღვანელობის წინაშე წარდგენა შესაბამისი წესით მათ ჩამოწერაზე;

ო) დეპარტამენტის მოხელეთათვის შრომის ნორმალური პირობების შექმნა, გამოყოფილი სამეურნეო სახსრების მიზნობრივი ხარჯვა დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით;

პ) ფასეულობების აღრიცხვა და დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ სამეურნეო ინვენტარზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და დეპარტამენტის საქმიანობისათვის განკუთვნილ ფასეულობებზე მატერიალური პასუხისმგებლობა;

ჟ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება;

მუხლი 8. სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სახელმწიფო შEსყიდვების სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში დეპარტამენტის მიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და მოდერნიზაციის შესასრულებელ სამუშაოებზე შესყიდვების განხორციელების ორგანიზება;

ბ) დეპარტამენტის ფუნქციონირებისათვის განსახორციელებელი შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

გ) დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ინფორმაციის საფუძველზე საბიუჯეტო ასიგნებებით შესასყიდი სამუშაოებისა და მომსახურებათა წლიური გეგმის შედგენა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმება და მისი განხორციელების მონიტორინგი;

დ) შესყიდვებისათვის საჭირო კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა და ნორმების დაცვა და მათი შესრულების უზრუნველყოფა;

ე) საქართველოში მოქმედი შესყიდვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციისა და შესყიდვებისათვის სხვა საჭირო დოკუმენტების მომზადება და შესყიდვების შესახებ განცხადებებისა და ანგარიშების გამოქვეყნება;

ვ) პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებების სატენდერო კომისიაზე განსახილველად გატანა და შესაბამისი ოქმის შედგენა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი წინადადებების დეტალური შესწავლის მიზნით მუშა ჯგუფების შექმნა;

ზ) ტენდერის მონაწილეებისათვის ტენდერის შედეგების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტყობინებათა დაგზავნა და გამარჯვებული პრეტენდენტისათვის ხელშეკრულების გასაფორმებლად შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

თ) დეპარტამენტის მიერ გასაფორმებელი შესყიდვების ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმების უზრუნველყოფა;

ი) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურებისა და პირობების დაცვის კოორდინაცია და სტატისტიკური, კვარტალური და წლიური ანგარიშების საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენის უზრუნველყოფა;

კ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება.

მუხლი 9. იურიდიული სამმართველო

იურიდიული სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) კანონშემოქმედებით პროცესში მონაწლეობა, დეპარტამენტისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება და წარმოდგენილ პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების გაკეთება;

ბ) კანონშემოქმედებით სფეროში საქართველოს პარლამენტთან, შესაბამის სამინისტროებთან, სხვა უწყებებთან დეპარტამენტის ურთიერთობების კოორდინაციის უზრუნველყოფა;

გ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი უზრუნველყოფა, მათი ექსპერტიზა და ვიზირება;

დ) ყველა ინსტანციის სასამართლოში დეპარტამენტის წარმომადგენლობა;

ე) დეპარტამენტის მიერ გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) საჭიროებიდან გამომდინარე, სათანადო საფუძვლის/შუამდგომლობის არსებობისას ხელშეკრულებებში შესაბამისი ცვლილებების თაობაზე პროექტების მომზადება (გარდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით გაფორმებული ხელშეკრულებებისა), ასევე გასაფორმებელი ხელშეკრულებებისა და მათი ცვლილებების სამართლებრივი კუთხით ვიზირება; *(19.03.2014 N 6/ბ)*

ზ) დარგში ინსტიტუციონალური და სტრუქტურული რეფორმების წინადადებების მომზადება;

თ) დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების განხორ-ციელებისას;

ი) დეპარტამენტის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო ღონისძიებათა

ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება;

კ) დეპარტამენტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ლ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება.

მუხლი 10. საერთაშორისო პროექტების სამმართველო

საერთაშორისო პროექტების სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საინვენსტიციო პროექტების მართვა, კოორდინაცია და მონიტორინგი;

ბ) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან განსახილველი საინვესტიციო პროექტების შესწავლა, მომზადება, წარდგენა, აგრეთვე პროექტების ტექნიკური ხასიათის მონიტორინგი, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ინდიკატორების შეფასება; *(27.06.2011 N 5/ნ)*

გ) საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დამტკიცებული რეკომენდაციებით, წესებითა და ინსტრუქციებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე, აგრეთვე გამოყოფილი კრედიტისა და გრანტის ათვისების მიმდინარეობაზე მონიტორინგის განხორციელება;

დ) საინვენსტიციო პროექტების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე განსახორციელებელი და მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგის, კონტროლის სხვა აუცილებელი შეფასებებისა და შესწავლის უზრუნველყოფა, აგრეთვე შესაბამისი სტატისტიკური ანალიზისა და ანგარიშების მომზადება;

ე) საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დადგენილი შესყიდვის პროცედურების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, კრედიტებითა და გრანტებით მიღებული სახსრების ფარგლებში განსახორციელებელ საინვენსტიციო პროექტებზე, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ორგანიზება, სათანადო პროცედურების დაცვით;

ვ) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისათვის შესაბამისი ანგარიშების მომზადება მიმდინარე და დასრულებული საინვენსტიციო პროექტების შესახებ;

ზ) დაკისრებული ვალდებულებების ეფექტურად და დროულად განხორციელების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კონსულტანტებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ განსახორციელებელი პროექტების ტექნიკური საკითხების მართვას, აგრეთვე გაუწევენ სამმართველოს სათანადო საექპერტო მომსახურებას, კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსების ფარგლებში დაგეგმილი საინვენსტიციო პროექტების განხორციელების დროს;

ზ[1]) საჭიროებიდან გამომდინარე, სათანადო საფუძვლის/შუამდგომლობის არსებობისას საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტებისა და მათში შესაბამისი ცვლილებების თაობაზე პროექტების მომზადება და ვიზირება. *(19.03.2014 N 6/ბ)*

თ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება.

მუხლი 11. საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველო *(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სრულყოფა, მათი საექსპლუატაციო მაჩვენებლების სისტემატური ამაღლების ძირითადი მიმართულებების, მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის და მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ყოველწლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავება, დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმება და დასამტკიცებლად წარდგენა დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წინაშე;

ბ) ყოველი თვის დასაწყისში დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციების და ტექნიკური ზედამხედველის მიერ წარმოდგენილი მიმდინარე შეკეთების სამუშაოების გეგმების ფინანსური ანალიზის მომზადება და მისი შესათანხმებლად წარდგენა ხელმძღვანელობის წინაშე;

გ) ყოველი თვის ბოლოს, მიმდინარე შეკეთების შესრულებული სამუშაოების მიღებაზე სამუშაოების გეგმებთან და ხელშეკრულებებთან შესაბამისობის დადასტურება და შემდგომ მათი დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

დ) კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან წინადადებებით წარდგენა შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) მონაცემთა ბაზის მუდმივი განახლება და მიღებული ინფორმაციის გამოყენება პერსპექტიული გეგმებისა და გზების განვითარების საკითხების დამუშავებისას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების და სტიქიური მოვლენების პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება, მათი სალიკვიდაციო სამუშაოების კოორდინაცია;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, ექსტრემალურ პირობებში საავტომობილო გზებზე შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, განხორციელება და კომპეტენციის ფარგლებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმების განსაზღვრა;

თ) თანამშრომლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან საავტომობილო გზებზე უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად;

ი) მიმდინარე შეკეთების და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების კონტრაქტების მონიტორინგი (აუცილებლობის შემთხვევაში საგარანტიო პერიოდის ჩათვლით);

კ) გზებისა და მათი კუთვნილებების სათანადო საექსპლუატაციო მდგომარეობის სისტემატური კონტროლი;

ლ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის სტატისტიკური მონაცემების მიღება, გადამუშავება და მათი სრულყოფა;

მ) ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა, რეგიონებში საავტომობილო გზების მდგომარეობისა და მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად განსახორციელებელ სამუშაოთა შესახებ წინადადებების წარდგენა დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წინაშე;

ნ) საავტომობილო გზების გასწვრივ მომსახურების ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების განთავსებაზე ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შესაბამისი ტექნიკური პირობების მომზადება;

ო) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან საგზაო ნიშნებისა და ჰორიზონტალური მონიშვნის დისლოკაციის პროექტების შეთანხმების პროცედურათა განხორციელების მონიტორინგი;

პ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღრიცხული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების საავტომობილო გზების მიხედვით კლასიფიკაცია. ავარიების წარმოშობის მიზეზებისა და პირობების ანალიზი, ე.წ. შავი წერტილების გამოვლენა. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების და შავი წერტილების გაჯანსაღებისათვის პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად წინადადებების მომზადება;

ჟ) საავტომობილო გზებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე შემოსული ინფორმაციების განხილვა და მათი შეფასება;

რ) სამეცნიერო, საპროექტო და სხვა ორგანიზაციების მიერ მომზადებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დასკვნების მომზადება;

ს) საგზაო ნიშნების საავტომობილო გზების მიხედვით აღრიცხვის ორგანიზება და მათი არსებული დისლოკაციის პროექტებთან შედარება. წინადადებების მომზადება არსებული დისლოკაციის პროექტების განახლებისა და საჭიროების შემთხვევაში, ახალი დისლოკაციის პროექტების შემუშავების თაობაზე;

ტ) საინფორმაციო ჯგუფის მეშვეობით კონტრაქტორი ორგანიზაციებიდან ინფორმაციის შეგროვება გზებზე არსებული ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმების შესახებ, მიღებული ინფორმაციის დეტალური დამუშავებისა და ამ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა დეპარტამენტის

ხელმძღვანელობისათვის, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა დაინტერესებული უწყებებისათვის;

უ) კომპეტენციის ფარგლებში, საგზაო სამუშაოების წარმოების უზრუნველსაყოფად, კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემების დამტკიცების, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმების, კონტრაქტორ ორგანიზაციებზე სქემების გადაცემის პროცედურათა და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსებაზე მონიტორინგის განხორციელება, არსებული პროცედურების მიხედვით;

ფ) მოძრაობის ორგანიზაციის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებისა და სატრანსპორტო ნაკადის გადართვის ორგანიზებაში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მუშაკებთან ერთად მონაწილეობის მიღება;

ქ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება;

მუხლი 12. საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველო *(27.06.2011 N 5/ნ)*

საავტომობილი გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულების საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესრულების მონიტორინგი, ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი;

ბ) ყოველი თვის დასაწყისში დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ მიმდინარე შეკეთების შესასრულებელ სამუშაოებზე მიღებული ინფორმაციის მომზადება და საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოში ანალიზისათვის გადაცემა;

გ) მიმდინარე შეკეთების სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგი, აგრეთვე ანალიტიკური ინფორმაციის წარმოდგენა თითოეულ ობიექტზე არსებული ვითარების შესახებ, ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად;

დ) ყოველი თვის ბოლოს, მიმდინარე შეკეთების შესრულებული სამუშაოების შეთანხმებულ გეგმებთან და ხელშეკრულებებთან შესაბამისობის დადასტურება, შესრულებული სამუშაოების მიღების აქტების დამოწმება და დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენა შემდგომი რეაგირებისათვის;

ე) კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წინადადებების წარდგენა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით;

ვ) საავტომობილო გზებისა და მათი კუთვნილებების საექსპლუატაციო მდგომარეობის სისტემატური კონტროლი და სათანადო ინფორმაციის მიწოდება დეპარტამენტის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის;

ზ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულების საავტომობილო გზების გასწვრივ მომსახურების ობიექტების, საცხოვრებელი სახლების და სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების განთავსებაზე დეპარტამენტის მიერ უკვე გაცემული მშენებლობისა და ტექნიკური პირობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი და კონტროლი;

თ) მიმდინარე შეკეთების დასრულებული სამუშაოების მიღება და დასრულებული სამუშაოების „მიღების აქტის" საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წინაშე წარდგენა;

ი) კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სამსახურებთან საავტომობილო გზებზე უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად;

კ) რეგიონებში საავტომობილო გზების მდგომარეობის შესახებ სისტემატიური ინფორმაციის მიწოდება დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის;

ლ) საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან და კონტრაქტორ ორგანიზაციებთან ერთად სტიქიური მოვლენებისა და მათი შედეგების შესახებ სათანადო აქტების შედგენა;

მ) კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე მშენებლობის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, რეაბილიტაციის, პერიოდული შეკეთების, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციული სამუშოების მიმდინარეობის შერჩევითი შემოწმება, სატენდერო-საპროექტო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ნ) დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე ჩატარებული შერჩევითი შემოწმების შედეგებზე სათანადო დოკუმენტაციის მომზადება და ხელმძღვანელობის წინაშე წარდგენა, შემდგომი რეაგირების მიზნით;

ო) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება.

მუხლი 13. საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამმართველო *(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების მიმდინარეობის მენეჯმენტი;

ბ) რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტრაქტების მონიტორინგი, ხელშეკრულების გაფორმებიდან ობიექტის საგარანტიო პერიოდის ჩათვლით;

გ) ყოველი წლის დასაწყისში დეპარტამენტის კონტრაქტორი საზედამხედველო ორგანიზაციების მიერ გარდამავალ ობიექტებზე

საინვენტარიზაციო უწყისების და ხაზოვანი გრაფიკების წარმოდგენის უზრუნველყოფა, მათი ხელშეკრულებებთან და შესრულებულ სამუშაოებთან შესაბამისობის მონიტორინგი;

დ) შესრულებული სამუშაოების მიღებაზე კონტრაქტით განსაზღვრული საზედამხედველო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხელშეკრულებებთან შესაბამისობის შემოწმება და მათი დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურებთან წარდგენა;

ე) ყოველი თვის ბოლოს შემოსულ შესრულებებზე დაყრდნობით ცალკეულ ობიექტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის წარმოდგენა დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან;

ვ) სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, ობიექტებზე წამოჭრილი პრობლემური საკითხების შესწავლა, შესაბამის სამმართველოებთან განხილვა და ხელმძღვანელობის წინაშე მათი განხორციელების შესახებ დასაბუთებული ინფორმაციის წარდგენა;

ზ) კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, გასატარებელი ღონისძიების შესახებ წინადადების მომზადება და დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

თ) დარგის ნორმატიული ბაზის ტექნიკური-ეკონომიკური ნორმების, ნორმატივების, სტანდარტების, ინსტრუქციებისა და წესების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ი) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ყოველწლიური სატიტულო სიებისა და პერსპექტიული პროგრამების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

კ) დასრულებული სამუშაოების მიღების კომისიებში მონაწილეობა;

ლ) წლის ბოლოს გარდამავალ ობიექტებზე დარჩენილი სამუშაოების დადგენა მომავალი წლის გეგმის განსაზღვრის მიზნით;

მ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება;

მუხლი 14. საავტომობილო გზების განვითარებისა და რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის სამმართველო *(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

საავტომობილო გზების განვითარებისა და რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის სამმართველო ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პერსპექტიული და ყოველწლიური პროგრამების მომზადება, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის მიწოდება და დამტკიცების შემდგომ მათ შესრულებაზე მონიტორინგი;

ბ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების ყოველწლიური და პერსპექტიული პროგრამების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

გ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარებისა და რეკონსტუქცია–მოდერნიზაციის სამუშაოების ყოველწლიური და პერსპექტიული გეგმების შესრულებაზე მონიტორინგი;

დ) კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის სამშენებლო ობიექტზე შესვლის, განკარგვის და სამუშაოების დასაწყებად სათანადო პირობების შექმნა;

ე) სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკების მშენებლობის მიმდინარეობასთან შესაბამისობის კონტროლი. აუცილებლობის შემთხვევაში საკონტრაქტო ვადების კორექტირებისათვის სათანადო დოკუმენტაციის შედგენაში სამმართველოს სპეციალისტების მონაწილეობა;

ვ) შესრულებული სამუშაოების მიღებაზე (შუალედური და საბოლოო) კონტრაქტით განსაზღვრული შესაბამისი საზედამხედველო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხელშეკრულებებთან შესაბამისობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში შესრულებული სამუშაოების გადამოწმება და შედეგების ხელმძღვანელობასთან წარდგენა;

ზ) მიმდინარე სამუშაოებზე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მუდმივი მონიტორინგი და ხელმძღვანელობისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა თითოეულ ობიექტზე არსებული ვითარების შესახებ;

თ) მშენებლობისა და რეკონტრუქცია-მოდერნიზაციის პროცესში წამოჭრილი პრობლემური საკითხების შესწავლა და მათი მოგვარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე წინადადებების მომზადება შემდგომი განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;

ი) სამუშაოთა წარმოების პროცესში გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით პროექტში აუცილებელი ცვლილებების განხორციელების და შემოთავაზებული ალტერნატიული წინადადებების განხილვა. დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მომზადებული და შემუშავებული რეკომენდაციების ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

კ) კონტრაქტორი ორგანიზაციების მხრიდან სახელშეკრულებო პირობების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

ლ) საზედამხედველო ორგანიზაციების მიერ მშენებლობის მიმდინარეობაზე წარმოდგენილი შუალედური ანგარიშების განხილვა და შედეგებზე რეაგირებისათვის ხელმძღვანელობასთან წარსადგენი წინადადებების მომზადება;

მ) დასრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში მონაწილეობა;

ნ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება;";

მუხლი 14[1]. საავტომობილო გზების განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველო *(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

საავტომობილო გზების განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე, ყოველწლიური და პერსპექტიული გეგმების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების პროექტირებაზე გასაცემი ტექნიკური დავალებების მომზადებაში მონაწილეობის მიღება განსახლებისა და გარემოსდაცვითი ჩარჩო დოკუმენტების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და განსახლების გეგმების დამუშავების კუთხით;

გ) მომზადებული ჩარჩო დოკუმენტების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და განსახლების გეგმების წინასწარი ვარიანტების განხილვაში მონაწილეობის მიღება და მათი საბოლოო ვარიანტებისთვის შენიშვნებისა და წინადადებების მომზადება, როგორც საერთაშორისო (დამფინანსებელი) ორგანიზაციების მიერ დადგენილი ნორმების, ასევე საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით;

დ) მომზადებული საბოლოო ვარიანტების შესაბამის საერთაშორისო (საფინანსო) ორგანიზაციებისა და უწყებებისთვის, დადგენილი წესის მიხედვით, შესათანხმებლად წარდგენა და სათანადო ნებართვების მიღება;

ე) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების არანებაყოფლობითი განსახლებისა და გარემოსდაცვითი შეფასების უსაფრთხოების პოლიტიკის, სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩარჩო დოკუმენტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით მომზადებული და შეთანხმებული გეგმების განხორციელების უზრუნველყოფა;

ვ) განსახლების განხორციელების პროცესში, განსახლების გეგმებით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ქონების მფლობელებთან მოლაპარაკებების წარმოება, შესაბამისი ხელშეკრულებების პირობების შეთანხმება, მათი მომზადება, გაფორმება და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის უზრუნველყოფა;

ვ[1]) განსახლების პროცედურების განხორციელებასა და დეპარტამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადება და შესაბამისი ბეჭდით დამოწმება. *(19.03.2014 N 6/ძ)*

ზ) დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ბიუჯეტით დაფინანსებული სხვა პროექტებისთვის, რომელთა ფარგლებშიც არ არის გათვალისწინებული განსახლების გეგმების მომზადება, მაგრამ პროექტის ზემოქმედების შემთხვევებს ექნება ადგილი, ზემოქმედების მასშტაბებისა და ღირებულებების განსაზღვრისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება და

ხელმძღვანელობისთვის წარდგენა შემდგომი განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;

თ) სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, შეთანხმებული გარემოს დაცვის მენეჯმენტის გეგმების შესრულების მონიტორინგის განხორციელება, შესაბამისი ანგარიშების მომზადება და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისთვის წარდგენა;

ი) სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას გამოვლენილი, როგორც პროექტით გაუთვალისწინებელი, ასევე სამუშაოების წარმოების პროცესში განსახლებისა და გარემოს დაცვის კუთხით წამოჭრილი პრობლემური საკითხების შესწავლა, მათი მოგვარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე წინადადებების მომზადება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა შემდგომი განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;

კ) სამმართველოს ინსტიტუციონალური გაძლიერებისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის განსახლებისა და გარემოს დაცვის კუთხით ჩატარებულ ტრეინინგებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სხვა შეხვედრებში მონაწილეობის მიღება;

ლ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება;

მუხლი 15. საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო
(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)

საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) დეპარტამენტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმებით საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის, პერიოდული შეკეთების, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, რეაბილიტაციისა და მშენებლობის ობიექტების პროექტირების ყოველწლიური სატიტულო სიების მომზადებაში მონაწილეობა, მათი სწორი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, ტექნიკური მახასიათებლების, ტერმინებისა და სხვათა მართლზომიერების გათვალისწინებით;

ბ) საპროექტო-საკვლევაძიებო სამუშაოების ყოველწლიური გეგმების დამუშავებისა და მათი შესრულების კონტროლის უზრუნველყოფა;

გ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ხელოვნურ ნაგებობათა და სხვა სპეციალური დანიშნულების საგზაო ნაგებობების საინჟინრო პროექტის დამუშავებაზე შესაბამისი დავალებების მომზადება;

დ) საინჟინრო პროექტების დამუშავებაზე დამკვეთის ფუნქციების განხორციელებას და მათი შესრულების კონტროლი;

ე) წარმოდგენილი პროექტების განხილვა, ტექნიკური მონიტორინგისა და შესაბამისი ანალიზის ჩატარების უზრუნველყოფა;

ვ) მიღებული საინჟინრო პროექტების (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია) შესაბამის უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმების განხორციელება და ექსპერტიზის ორგანიზაციის უზრუნველყოფა;

ზ) დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან და მოვლა-შენახვის კონტრაქტორი ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სახიდე გადასასვლელებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციისა და გამოკვლევა-გამოცდის ყოველწლიური გეგმების მომზადება, მათი შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი წინადადების წარდგენა ხელმძღვანელობისადმი;

თ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ, სახიდე გადასასვლელებზე და სხვა სპეციალური დანიშნულების საგზაო ნაგებობებზე საჰაერო და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გატარებაზე და გზების საინჟინრო კომუნიკაციებით გადაკვეთებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით შესაბამისი ტექნიკური პირობების მომზადება;

ი) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური საბჭოს დებულების შესაბამისად, ტექნიკური საბჭოს მოწვევის ორგანიზაციულ საკითხების წარმართვა და ტექნიკური საბჭოს სხდომის ოქმების გაფორმება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში სავტომობილო გზებისა და მასზე არსებული ხელოვნურ ნაგებობათა მოვლა-შენახვის, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციისა და მშენებლობის მიმდინარეობისას ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და მაღალეფექტური მასალების დანერგვა-გამოყენების საქმიანობის ხელშეწყობა;

ლ) დარგის ნორმატიული ბაზის პროექტების, ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმების, ნორმატივების, სტანდარტების, ინსტრუქციების, წესების შემუშავებაში მონაწილეობა;

მ) საინჟინრო პროექტებში საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობის საჭიროების განსაზღვრა და მისი შესრულების განხორციელების კონტროლი;

ნ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება;

მუხლი 15[1]. ნაპირდაცვის სამმართველო *(18.03.2013 N 1/ნ ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან)*

ნაპირდაცვის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) ზღვის, მდინარეთა და წყალსატევების სანაპირო ზონებში მორფოდინამიკური პროცესების მონიტორინგი და ავარიული უბნების გამოვლენა.

ბ) სანაპირო ზონებში რისკ-ფაქტორიანი უბნების გამოვლენა, სანაპირო ზონის განვითარების პროგნოზირება და სათანადო საინჟინრო გადაწყვეტილებების შემუშავება;

გ) ზღვის, მდინარეთა და წყალსატევების სანაპირო ზონებში შეზღუდული სარგებლობის ტერიტორიების განსაზღვრა, მკაცრი ზედამხედველობისა და მუდმივი ზედამხედველობის ზოლების დადგენა;

დ) სანაპირო ზონებში ბუნებრივი კომპონენტებისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნა;

ე) სანაპირო ზონებში ჭარბი აკუმულაციისა და ეროზიული უბნების გამოვლენა და საჭიროები შემთხვევაში ჭარბი ნატანის გამოყენებით პლაჟების სტაბილიზაციისა და რეანიმაციის სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება;

ვ) საინჟინრო ღონისძიებების მეშვეობით ნაპირფორმირების პროცესების ხელსაყრელი მიმართულებით წარმართვა;

ზ) საქართველოს ზღვისა და მდინარეების ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის გენერალური სქემების შედგენა;

თ) ზღვისა და მდინარეების ნაპირების ფორმირების პროცესების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის ნორმების, წესების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის პროექტების შემუშავება;

ი) ნაპირების საინჟინრო დაცვა-აღდგენასთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების ორგანიზება;

კ) ნაპირდაცვით სამუშაოებზე გაფორმებული კონტრაქტების მონიტორინგი ხელშეკრულების გაფორმებიდან ობიექტის საგარანტიო პერიოდის ჩათვლით;

ლ) ყოველი თვის ბოლოს შესრულებული სამუშაოების მიღებაზე კონრტრაქტით განსაზღვრული საზედამხედველო ორგანიზაციიდან წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების მიღების აქტის გეგმებთან და ხელშეკრულებებთან შესაბამისობის შედარება, დადასტურება და მათი დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურებთან წარდგენა;

მ) ყოველი თვის ბოლოს, შემოსულ ნაპირდაცვითი სამუშაოების შესრულებებზე დაყრდნობით, ცალკეულ ობიექტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ანალიზური ინფორმაციის წარდგენა დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან;

ნ) ნაპირდაცვითი სამუშაოების პროცესში წამოჭრილი საკითხების შესწავლა შესაბამის სამმართველოებთან კოორდინაციით და ხელმძღვანელობის წინაშე მათი მოგვარების თაობაზე დასაბუთებული ინფორმაციის წარდგენა;

ო) კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წინადადებების წარდგენა მათ მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარების თაობაზე;

პ) ნაპირსამაგრი სამუშაოების ყოველწლიური სატიტულო სიებისა და პერსპექტიული პროგრამების მომზადება;

ჟ) სხვადასხვა კომისიაში მონაწილეობის მიღება;

რ) სანაპირო ზონის ფარგლებში ნაპირდამცავი და სხვა სამშენებლო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

ს) ზღვის, მდინარეთა და წყალსატევების სანაპირო ზონების საინჟინრო დაცვის სფეროში თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე;

ტ) დეპარტამენტის თავმჯდომარის სხვა დავალებათა შესრულება;

მუხლი 16. დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები

1. დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოებია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დირექცია;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დირექცია;

3. ტერიტორიული ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს დეპარტამენტს შესაბამის ადმინისტრაცულ-ტერიტორიულ ერთეულში.

4. დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

5. ტერიტორიული ორგანოს დაფინანსება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ტერიტორიული ორგანოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

მუხლი 17. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

დეპარტამენტის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.